



# IBSU

შპს - შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი  
ხარისხის მართვის სისტემის დოკუმენტაცია

## სექსუალური შევიწროების პრევენციის პოლიტიკის დოკუმენტი

*დამტკიცებულია მმართველი საბჭოს მიერ წ. - ოქმი №39 (დანართი №3)*

### დამტკიცებულია

ქვემოთ მოცემული ხელმოწერები ადასტურებს, რომ აღნიშნული დოკუმენტი  
წაკითხული და მიღებულია.

ხელმოწერის ავტორები ადასტურებენ, რომ ისინი ნამდვილად ფლობენ წინამდებარე  
დოკუმენტში არსებულ ინფორმაციას და უზრუნველყოფენ მასში ასახული პირობების  
განხორციელებას.

მოამზადა: იურიდიული სამსახური

დაამტკიცა: მმართველი საბჭო

დოკუმენტის No: IBSU.R42G

ვერსია: 1.00

განახლების თარიღი: N/A

დამტკიცების თარიღი:

26/12/2022

შემოწმებული ვერსია

შემოწმებული ვერსია

შპს-ს კუთვნილი დოკუმენტაცია.

წინამდებარე დოკუმენტით სარგებლობამდე, დარწმუნდით, რომ დოკუმენტს აქვს ბოლო  
განახლების ნომერი ხარისხის მართვის დოკუმენტაციის პლატფორმაზე მისი შემოწმების გზით.  
ცვლილებების მოთხოვნის შემთხვევაში, მიმართეთ დოკუმენტის მომზადებაზე პასუხისმგებელ  
ერთეულს.

## სარჩევი

|  |    |
|--|----|
| შეტანილი ცვლილებები .....                        | 3  |
| ცვლილებების ნუსხა .....                          | 4  |
| მუხლი 1 დოკუმენტის მოქმედების სფერო .....        | 5  |
| მუხლი 2 სექსუალური შევიწროების ცნება .....       | 5  |
| მუხლი 3 დისციპლინური პასუხისმგებლობა .....       | 9  |
| მუხლი 4 პოლიტიკის დოკუმენტის განხორციელება ..... | 10 |
| მუხლი 5 მონიტორინგი და შეფასება .....            | 10 |
| მუხლი 6 დასკვნითი დებულებები .....               | 10 |

შეტანილი ცვლილებები

| #  | გადაწყვეტილების მიმღები ორგანო | გადაწყვეტილების № | თარიღი |
|----|--------------------------------|-------------------|--------|
| 1. |                                |                   |        |

თავდაპირველი რედაქცია: 26.12.2022

---

ცვლილებების ნუსხა

| #  | თარიღი | მუხლი | შენიშვნა |
|----|--------|-------|----------|
| 1. |        |       |          |

---

## მუხლი 1 დოკუმენტის მოქმედების სფერო

- 1.1 წინამდებარე დოკუმენტი ემსახურება შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის (შემდგომში „უნივერსიტეტი“) ტერიტორიაზე სექსუალური შევიწროებისგან თავისუფალი გარემოს შექმნას და კრძალავს უნივერსიტეტში ნებისმიერი სახის სექსუალურ შევიწროებას.
- 1.2 უნივერსიტეტად ჩაითვლება ნებისმიერი ადგილი, რომელიც გამოიყენება უნივერსიტეტის საქმიანობის მიზნებისთვის, მათ შორის, უნივერსიტეტის შენობები, ასვე, შენობის გარეთ სივრცეები, მათ შორის, შეხვედრები, მივლინებები, ტრენინგები, კონფერენციები, სოციალური ქსელი და უნივერსიტეტის საქმიანობის მიზნებისთვის დაკავშირებული სხვა ნებისმიერი ღონისძიებები.
- 1.3 სექსუალური შევიწროება შესაძლოა განახორციელოს და სექსუალური შევიწროების მსხვერპლი შესაძლოა იყოს:
  - ა) უნივერსიტეტის მოწვეული ლექტორი, აკადემიური და/ან ადმინისტრაციული პერსონალი;
  - ბ) სტაჟიორი;
  - გ) სტუდენტი;
  - დ) ნებისმიერი მესამე პირი, რომლის მიმართ სექსუალური შევიწროება პირმა უნივერსიტეტის პერსონალის, სტაჟიორის ან სტუდენტის სტატუსით განახორციელა.

## მუხლი 2 სექსუალური შევიწროების ცნება

- 2.1 სექსუალური შევიწროება არის სექსუალური ხასიათის ნებისმიერი არასასურველი სიტყვიერი, არსიტყვიერი ან ფიზიკური ქცევა, რომელიც მიზნად ისახავს ან იწვევს პირის ღირსების შელახვას ან მისთვის დამაშიენებელი, მტრული, დამამცირებელი, ღირსების შემლახველი ან შეურაცხმყოფელი გარემოს შექმნას.
- 2.2 სექსუალურ შევიწროებას აქვს ორი ფორმა:
  - ა) მომსახურება მომსახურების სანაცვლოდ (Quid, Pro Quo), რაც გულისხმობს სექსუალური ხასიათის მოთხოვნას რაიმე სახის სარგებლის სანაცვლოდ;
  - ბ) მტრული სამუშაო გარემო ანუ სამუშაო ადგილზე დამაშინებელი, შეურაცხმყოფელი პირობების შექმნა.
- 2.3 სექსუალური შევიწროება შეიძლება გამოიხატოს, მათ შორის, ღირსების შემლახვ ან მისთვის დამაშინებელ, მტრულ, დამამცირებელ, ღირსების შემლახველი ან შეურაცხმყოფელი სიტყვიერ, არასიტყვიერ და ფიზიკურ ქმედებებში:

- ა) სექსუალური ხასიათის ხუმრობა;
- ბ) კომენტარი ადამიანის გარეგნობის, ჩაცმულობის ან პირადი ცხოვრების შესახებ;
- გ) კომენტარი ადამიანის სექსუალურობის შესახებ;
- დ) კომენტარი ადამიანის სექსუალური ორიენტაციის შესახებ;
- ე) კომენტარი საკუთარი სექსუალური გამოცდილების/პრეფერენციების შესახებ;
- ვ) სექსუალური ხასიათის სახელების დამახეზა;
- ზ) განმეორებით არასასურველი დაპატიჟება პაემანზე;
- თ) სექსუალური ხასიათის ფოტოს/ვიდეოს ან ინტერნეტით ან მობილური ტელეფონით გაგზავნა;
- ი) სექსუალური ხასიათის ჟესტიკულაციის ჩვენება;
- კ) სექსუალური ხასიათის ტექსტის გაგზავნა ინტერნეტით ან მობილური ტელეფონით;
- ლ) პირადი სივრცის დარღვევა/ საუბრისას მეორე ადამიანთან ზედმეტად მიახლოება;
- მ) მზერა;
- ნ) სტვენა;
- ო) სახეზე ან სხეულზე (მაგალითად, მხარზე ან წელზე) შეხება;
- პ) ჩახუტება;
- ჟ) ჩქმეტა.

2.4 სექსუალური შევიწროების ინდიკატორები, მათ შორის, შესაძლოა იყოს:

- ა) ქმედების ხასიათი;
- ბ) მსხვერპლის მიერ სიტუაციის აღქმა;
- გ) ქმედების ინტენსივობა;
- დ) ქმედების განმეორებადობა;
- ე) შემავიწროებლის შესაძლებლობა, მოახდინოს მსხვერპზე გავლენა;
- ვ) მსხვერპლის დაუცველი მდგომარეობა;
- ზ) შემავიწროებელს და მსხვერპლს შორის ურთიერთობა.

**საჩივრის წარდგენისა და განხილვის პროცედურა**

**2.5 საჩივრის წარდგენისა და განხილვის პროცედურა უნივერსიტეტის პერსონალის, სტაჟიორის, სტუდენტის წინააღმდეგ**

ა) ნებისმიერმა პირმა, რომელიც თავს სექსუალური შევიწროების მსხვერპლად მიიჩნევს, თუ შესაძლებელია, სავარაუდო შემავიწროებელს უნდა შეატყობინოს, რომ მისი ქცევა არის სასურველი და მიუღებელი.

ბ) სავარაუდო სექსუალური შევიწროების მსხვერპლი საჩივარს წარადგენს წერილობითი ფორმით (R24F18).

გ) სავარაუდო მსხვერპლი საჩივარში მიუთითებს სავარაუდო შემავიწროებლის სახელს და გვარს, დაკავებულ თანამდებობას, მათი სამსახურებრივი/პროფესიული ურთიერთობის შესახებ ინფორმაციას, სექსუალური შევიწროების ფაქტებს. არსებობის შემთხვევაში, სავარაუდო მსხვერპლი საჩივარს თან დაურთავს მტკიცებულებებს (წერილობითი, ფოტო, ვიდეო, აუდიო და სხვა მასალა, მესამე პირების ვინაობა, რომლებიც შესაძლოა ფაქტის შესახებ ინფორმაციას ფლობდნენ)

დ) აკრძალულია ვიქტიმიზაცია სავარაუდო შევიწროების ფაქტის შესახებ საჩივრის წარდგენის გამო.

ე) სექსუალური შევიწროების ფაქტის შესახებ საჩივარს სექსუალური შევიწროების მსხვერპლი წარუდგენს უნივერსიტეტის რექტორს (გარდა 3.1 პუნქტის „ვ“ პუნქტით განსაზღვრული შემთხვევისა);

ვ) თუ მსხვერპლი სტუდენტია, სავარაუდო სექსუალური შევიწროების ფაქტის შესახებ შეუძლია მიმართოს შესაბამისი სკოლის დეკანს, რომლებიც ფაქტის შესახებ ატყობინებს უნივერსიტეტის სკოლის საბჭოს.

ზ) სავარაუდო სექსუალური შევიწროების მსხვერპლის (პერსონალი, სტაჟიორი) მიერ წერილობითი ფორმით საჩივრის წარდგენის შემდეგ, უნივერსიტეტის რექტორი უფლებამოსილია შექმნას კომისია, რომელიც განიხილავს სავარაუდო შემავიწროებლის დისციპლინური პასუხისმგებლობის საკითხს.

თ) სავარაუდო სექსუალური შევიწროების მსხვერპლის (სტუდენტის) მიერ წერილობითი ფორმით საჩივრის წარდგენის შემდეგ, სკოლის საბჭო უფლებამოსილია შექმნას კომისია, რომელიც განიხილავს სავარაუდო შემავიწროებლის დისციპლინური პასუხისმგებლობის საკითხს.

ი) კომისია შედგება სულ მცირე სამი წევრისგან, რომლებიც არიან უნივერსიტეტის/სკოლის პერსონალი.

კ) თუ სავარაუდო მსხვერპლი სტუდენტია, კომისიის შემადგენლობაში ასევე შედის უნივერსიტეტის სტუდენტი, რომელიც ამავდროულად უნივერსიტეტის თვითმმართველობის წევრია.

ლ) სავარაუდო მსხვერპლი ან სავარაუდო შემავიწროებელი, ინტერესთა კონფლიქტის შემთხვევაში, უფლებამოსილია მოითხოვოს კომისიის რომელიმე წევრის უნივერსიტეტის სხვა პერსონალით ან სტუდენტით ჩანაცვლება.

მ) ამ პუნქტის „ლ“ ქვეპუნქტში მითითებული მოთხოვნის დაკმაყოფილების და კომისიის ალტერნატიული წევრის შერჩევის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს უნივერსიტეტის რექტორი/ფაკულტეტის საბჭო.

ნ) საქმის წარმოებაში ჩართული პირები ვალდებული არიან არ გაამჟღავნონ მხარეების და საქმის ფაქტობრივი გარემოებების შესახებ ინფორმაცია.

## 2.6 კომისიის უფლებამოსილება უნივერსიტეტის პერსონალის, სტუდენტის და სტაჟიორის წინააღმდეგ საჩივრის განხილვისას

ა) კომისია:

ა.ა.) გამოკითხავს სავარაუდო მსხვერპლს;

ა.ბ.) გამოკითხავს სავარაუდო შემავიწროებელს;

ა.გ.) გამოკითხავს მესამე პირებს, ვინც შესაძლოა ფლობდეს საქმესთან დაკავშირებულ ინფორმაციას;

ა.დ.) გამოიკვლევს საქმეში არსებულ ყველა მტკიცებულებას;

ა.ე) გამოკვლევს ფაქტობრივი საქმის გარემოებებისა და მტკიცებულებების საფუძველზე, ხმათა უმრავლესობით, იღებს დასაბუთებულ წერილობით გადაწყვეტილებას სექსუალური შევიწროების ფაქტის არსებობის ან არარსებობის შესახებ;

ბ) თუ კომისიის მიერ სექსუალური შევიწროების ფაქტი არ დადასტურდება, უნივერსიტეტის რექტორი წყვეტს დისციპლინურ წარმოებას.



## 2.7 საჩივრის განხილვის ვადები უნივერსიტეტის პერსონალის, სტუდენტისა და სტაჟიორის მიერ საჩივრის განხილვისას

ა) უნივერსიტეტის რექტორი/ფაკულტეტის საბჭო კომისიას ქმნის საჩივრის წარდგენიდან 14 სამუშაო დღის ვადაში.

ბ) სექსუალური შევიწროების საჩივართან დაკავშირებით კომისია გადაწყვეტილებას იღებს 1 თვის ვადაში.

გ) თუ დისციპლინური გადაცდომისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებათა დადგენისთვის აუცილებელია 1 თვეზე მეტი ვადა, 1 თვიანი ვადის გასვლამდე 10 სამუშაო დღით ადრე, უნივერსიტეტის რექტორი/ფაკულტეტის საბჭო კომისიის რეკომენდაციის საფუძველზე, გადაწყვეტილებას იღებენ დისციპლინური წარმოების ვადის დამატებით არაუმეტეს 2 თვით გაგრძელების თაობაზე.

### მუხლი 3 დისციპლინური პასუხისმგებლობა

3.1 უნივერსიტეტის პერსონალის/სტაჟიორის მიმართ, რომლის მიერ სექსუალური შევიწროების ფაქტის ჩადენა დადგინდება კომისიის მიერ, უნივერსიტეტის რექტორი იღებს გადაწყვეტილებას შემდეგი დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის დაკისრების შესახებ:

ა) შენიშვნა;

ბ) გაფრთხილება;

გ) შრომითი ურთიერთობის/სტაჟირების ხელშეკრულების შეწყვეტა.

3.2 დაუშვებელია სექსუალური შევიწროების ჩამდენისთვის დისციპლინური ზომის ვადაზე ადრე მოხსნა.

3.3 სტუდენტის მიმართ, რომლის მიერ სექსუალური შევიწროების ფაქტის ჩადენა დადგინდება კომისიის მიერ, სკოლის საბჭო იღებს გადაწყვეტილებას შემდეგი სანქციების გამოყენების შესახებ:

3.4 ა) საყვედური;

3.5 ბ) სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა.

3.6 დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომა დამოკიდებულია სექსუალური შევიწროების სიმძიმესა და ხარისხზე.

3.7 შემავიწროებლის მიმართ შეიძლება გამოყენებული იყოს სანქციის მხოლოდ ერთი სახე.

#### **მუხლი 4 პოლიტიკის დოკუმენტის განხორციელება**

- 4.1 უნივერსიტეტის პერსონალისთვისა და სტაჟიორებისთვის სექსუალური შევიწროების პრევენციის პოლიტიკის დოკუმენტის გაცნობის ვალდებულება ეკისრება უნივერსიტეტის ადამიანური რესურსების მართვის ადა განვითარების სამსახურს.
- 4.2 უნივერსიტეტის სტუდენტებისთვის სექსუალური შევიწროების პრევენციის პოლიტიკის დოკუმენტის გაცნობის ვალდებულება ეკისრება იმ სკოლის დეკანს, რომელზეც სტუდენტი ირიცხება.

#### **მუხლი 5 მონიტორინგი და შეფასება**

- 5.1 სექსუალური შევიწროების პრევენციის დოკუმენტს წერილობითი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით ამტკიცებს უნივერსიტეტის მმართველი საბჭო.
- 5.2 უნივერსიტეტი პერიოდულად აფასებს პოლიტიკის დოკუმენტის ეფექტურობას და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს.

#### **მუხლი 6 დასკვნითი დებულებები**

- 6.1 საკითხები, რომელიც არ არის მოწესრიგებული წინამდებარე დებულებით, წესრიგდება საქართველოს კანონმდებლობისა და უნივერსიტეტის სხვა დებულებების მიხედვით.
- 6.2 წინამდებარე დებულების შესრულებაზე ზედამხედველობას ახორციელებს რექტორი.

*უნივერსიტეტის წესების შეუსრულებლობა დაუშვებელია. ყველა ვალდებულია იცნობდეს შხსუ-ს მიერ შემუშავებულ წესებსა და რეგულაციებს.*

---

*შხსუ ყველას თანაბარ შესაძლებლობებს სთავაზობს, განურჩევლად სქესის, რასის, ეროვნების, წარმომავლობის, რწმენის, საზოგადოებრივი სტატუსის, ფიზიკური, გონებრივი, ემოციური სხვაობისა და სწავლის განსხვავებული უნარისა.*

---

**გამოსცა:**

**შხს - შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი**  
დავით აღმაშენებლის ხეივანი, 13 კმ., 2, 0131  
თბილისი, საქართველო  
[www.ibsu.edu.ge](http://www.ibsu.edu.ge)  
[contact@ibsu.edu.ge](mailto:contact@ibsu.edu.ge)

